

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი



სატენდერო დოკუმენტაცია

საბურავების შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ქ. თბილისი

2012 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის,“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.7 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.8 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.9 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.10 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.11 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.12 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.13 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.14 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა,

ბოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.15 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.16 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.17 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.18 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.19 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.20 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.21 ამ პუნქტის 1.20 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.22 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებაამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.23 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.24 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.25 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.26 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.27 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო – 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
შესყიდვის ობიექტი – ტექნიკური დავალებით განსაზღვრული საბურავები.
შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას №72 (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი).
შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 კალენდარულ დღეში, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს მინიმუმ 30 კალენდარული დღე მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან.

2.3 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- * პრეტენდენტის იურიდიული დასახელება.
- * პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი.
- * ხელმძღვანელის სახელი და გვარი.
- * ელექტრონული მისამართი.
- * პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
- * პრეტენდენტის საბანკო რეკვიზიტები.
- * პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი.
- * სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა.
- * ფასების ცხრილი.
- * ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების შესახებ.
- * ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილის შესახებ.

2.4. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯებისა და გადასახადების გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ლარებში.

2.5. ანგარიშსწორების პირობები

2.5.1. უნაღლო. ანგარიშსწორების ფორმა – სტანდარტული.

2.5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიწოდებიდან **20 დღეში**.

2.6. გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ფიზიკური პირების გარდა);
 - ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
 - ცნობა შესაბამისი უწყებიდან (შესაბამისი სასამართლოდან) რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ფიზიკური პირების გარდა)
- ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს, **ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში** - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

* **არარეზიდენტი პრეტენდენტ(ებ)მა** საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

* საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტები უნდა იქნას წარმოდგენილი შემსყიდველ ორგანიზაციაში სისტემის გამოყენების გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №72-ში. (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი)

* პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი:

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არა ნაკლებ 30 კალენდარული დღით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №72-ში. (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი).

2.8. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი მამუკა ხვედელიძე ტელ: 30-11-28, 877-58-58-40, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №72-ში. (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი)

3. ტექნიკური დავალება

№	საბურავის ზომები	სეზონურობა	რაოდენობა	სავარაუდო საერთო ღირებულება (ლარი)	საბურავზე დასაშვები სიჩქარე (კმ/სთ)	საბურავზე დასაშვები დატვირთვა (კგ)	მინიმალური ბარბენი (კმ.)
1	215/60 რ16	ყველა სეზონის	12	89 050	180	650	40 000
2	205/70 რ15		4		170	690	
3	265/75 რ16	ტალახის	10		150	950	
4	165/70 რ13	ზაფხულის	12		150	387	
5	175/65 რ14		4		160	400	
6	175/70 რ13		4		160	400	
7	185/65 რ14		12		160	450	
8	185/65 რ15		8		170	450	
9	195/60 რ15		20		200	450	
10	195/65 რ14		8		170	462	
11	195/65 რ15		20		170	530	
12	205/14ც		12		140	825	
13	205/55 რ16		20		210	560	
14	205/60 რ15		80		200	530	
15	205/60 რ16		12		170	560	
16	215/55 რ16		40		260	650	
17	215/65 რ16		8		180	670	
18	225/45 რ17		8		210	580	
19	225/50 რ17		8		210	600	
20	225/50 რ17 წინა		2		210	580	
21	235/45 რ17 უკანა		2		210	580	
22	225/60 რ15		20		160	630	
23	235/45 რ17		20		210	600	
24	245/40 რ17	8	210		515		
25	275/40 რ20 წინა	2	240		850		
26	315/35 რ20 უკანა	2	210		850		

შენიშვნა: ტენდერში გამარჯვებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ მიწოდებული საბურავების ავტომანქანაზე დაყენება და ბალანსირება საკუთარი სახსრებით.

4. შახეხის ცხრილი
(იხეხა კრეხენდენტის მიერ)

№	სახეხის ზომეხი	სეზონეხ რეხა	საქონლის კირითადი მახასიათეხელი/ მწარმეხელი	წარმეხობ ის ქეხეხანა	რეოდენ რეხა	ერთეხ ლის წახი	საერთო ღირეხეხ ლეხა	სახეხრახ ზე მიწიმი ლეხი ღახეხეხეხ ბი სიწქარეხ (კმ/სთ)	სახეხრახ ზე მიწიმი ლეხი ღახეხეხეხ ბი ღატვირ თეხა (კმ)	მიწიმი ლეხი ბარბენი (კმ)

5. (ხელშეკრულების პროექტი)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

_____ 2011 წ. ქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №72.

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა. საიდენტიფიკაციო კოდი 205239455

მიმწოდებელი: _____

- მისამართი, ტელეფონი: _____

- დირექტორი: _____

- საბანკო რეკვიზიტები: _____

ერთის მხრივ, **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ, **მიმწოდებელი** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი საქონელი:

_____ (საქონლის მოკლე აღწერა)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს:

ლარს

_____ (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ხარისხი

3.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მიწოდების წესი

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის ყოველი პარტიის გაცემისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია, მათ შორის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირებს: **სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს გ. ბიბილაშვილს, სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილეს დ. მახაურს, ხოლო საქონლის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების საწყობის გამგე კ. ტატუაშვილი.** მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი ყოველ მიწოდებულ პარტიაზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნებული) საქონელი, მიმწოდებელი

ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებულ, უხარისხო (წუნდებული), არასათანადოდ შეფუთული ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის პარტიის მიღებაზე.

4.5. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა), რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის სრულად გადაცემის შემდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა: უნაღდლო ანგარიშსწორება.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხის აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების 8.3 ქვეპუნქტის არსებობის შემთხვევაში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების (მისაწოდებელი საქონლის) ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით.

6.5 თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ წერილობითი ფორმით გაგრძელებულ ვადაში არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს საურავი ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან საქონლის ღირებულების 2% -ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ამ მუხლის ფარგლებში “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დრიდან და მოქმედებს -----.

8.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი რჩება მიმწოდებელს, ხოლო სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს.

8.7 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინდადება და მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:

მიმწოდებლის მხრიდან:

შსს სპეციალური ოპერატიული
დეპარტამენტის დირექტორი

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: -----

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ -----

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მიმწოდებელმა” ----- ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში Mმითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)